საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მერია

მერია, სოფელი გურიის რეგიონის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდ. ნატანების მარჯვ. მხარეს, რკინიგზის სადგ. ნატანები – ოზურგეთის ხაზზე. ზ. დ. 30 *მ*. ოზურგეთიდან 13 *კმ*. ადმ. ერთეულის ცენტრი (სოფლები: მ., ნაღობილევი, ჭახვათი, ხვარბეთი). სოფელზე გადის ოზურგეთი–ურეკის საავტომობილო გზა. 1494 მცხ. (2014).

სოფელში შემორჩენილია გოგორეთის ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია – თარიღდება XVII ს-ით.